ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია

1. საბჭოს დასახელება:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო (შემდგომ - საბჭო).

2. შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა -11;

2.2. საბჭოს წევრობის კანდიდატები (შემდგომ – კანდიდატი) შეიძლება იყვნენ ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მომუშავე სასწავლო/აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი, ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ექსპერტ(ებ)ი, დარგობრივი სამინისტროების/მათი მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირ(ებ)ის წარმომადგენლები, ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორის/ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე პირები/ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2.3. ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მომუშავე სასწავლო/აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში სასწავლო/აკადემიური ან/და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება ბოლო 10 წლის განმავლობაში.

2.4. ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ექსპერტის კვოტით წარმოდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში საექსპერტო სამუშაო(ები)ს განხორციელების არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.

2.5. დარგობრივი სამინისტროების/მათი მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირ(ებ)ის კვოტით წარმოდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შესაბამის დარგობრივ სამინისტროში/სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ იურიდიულ პირში მუშაობის გამოცდილება და საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისთვის დასაქმებულის სტატუსის ქონა აღნიშნულ დაწესებულებაში.

2.6. ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორის/ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე პირების/ორგანიზაციების კვოტით წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

• ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მუშაობის ან/და ამავე სფეროში პროექტების განხორციელების ან/და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არანაკლებ 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება.

2.7. დარგობრივი ასოციაციების კვოტით წარმოდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან პროფესიული განათლება;

• წარმდგენ დარგობრივ ასოციაციაში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება და საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისთვის ამ ასოციაციის წევრობის სტატუსის ქონა.

3. საბჭოს წევრის ფუნქციები

საბჭოს წევრის ფუნქციები განისაზღვრება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვალის №76 დადგენილებით.

4. კანდიდატების წარდგენის ვადა და წესი:

ა) საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განაცხადი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) შესაძლებელია წარადგინოს იურიდიულმა პირმა ან ფიზიკურმა პირმა:

• იურიდიული პირის მიერ საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით განაცხადის ფორმა განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად;

• ფიზიკური პირის მიერ მიმართვის შემთხვევაში განაცხადის ფორმა განისაზღვრება დანართი N2-ის შესაბამისად.

ბ) განაცხადს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

• ავტობიოგრაფია (CV);

• ცნობა სამუშაო ადგილიდან;

• შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად);

• კანდიდატის წერილობითი თანხმობა კანდიდატად წარდგენის შესახებ (თუ განაცხადს წარმოადგენს იურიდიული პირი).

გ) განაცხადის შემოტანის ვადა - **2025 წლის 12 აგვისტოდან 2025 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.**

5. დამატებითი ინფორმაცია:

• საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლის ვადით.

• შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და მოითხოვოს მასთან გასაუბრების ჩატარება.

განცხადებების მიღება წარმოებს ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით.

დანართი N1

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

წარმდგენი: _____
(იურიდიული პირის/ინიციატორის სრული სახელწოდება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

გთხოვთ განიხილოთ _____

(წარმდგენი იურიდიული პირის/ინიციატორის სრული დასახელება)

_____

(თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

დასაქმებული _____

(წარდგენილი პირის სახელი, გვარი (პირადი ნომერი ფრჩხილებში)

კანდიდატურა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით.

დანართი: _ გვ.

_____ _____

(იურიდიული პირის/ინიციატორის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა/პოზიცია) (სახელი, გვარი)

ხელმოწერა: _____

დანართი N2

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

განცხადება

გთხოვთ, განიხილოთ _____

(სახელი, გვარი)

_____

(ორგანიზაციისა და თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

კანდიდატურა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით.

დანართი: _ გვ.

ხელმოწერა: _____